№ 464. ოთხშაბათი, 25 თებერვალი 1896—1898 ოთხშაბათი, 25 თებერვალი, № 464.

რედაქცია:
ტფილისი, ფრეილინის ქუჩა, № 13.
ხელის მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიმართავენ რედაქციას დილის 10 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე და „წერა-კითხვის გამავ. საზოგადოების“ წიგნის მაღაზია.
ხელ-მოუწერავ წერილებს რედაქცია არ ბეჭდავს.
პირისპირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველდღე.
ტელეფონი № 363.

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური სახალხო გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ნახევარის წლით 4 მან, თითო ნომერი 3 კაპეიკ
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კაპ. მეოთხეზე 5 კაპ.
Редакція
„Цнобисъ Пурцели“
Тифлисъ, Фрейлинnская №13
Телефонъ № 363.



აუარებელი რიცხვი
## საკერავი მაშინებისა
ყოველგვარი სისტემისა და ყოველგვარი ხარისხისა, როგორც საშინაოდ — ოჯახში სახმარებლად, აგრეთვე სხვა-და-სხვა სახელოსნოებისათვის.
პირველ ხარისხოვანი და საგანგებო
## ველოსიპედები
(თვით-მავალა)
ინგლისის, საფრანგეთის და გერმანეთის ქარხნებიდან
ყველაფერი იყიდება შეღავათიანის ფასით
ფასის გადახდა ნაწილ-ნაწილად
ყველაფერი, რაც-კი ამ სავაჭრო სახლიდან გაიყიდება, მკვიდრი და მაგარია, რაშიაც სრული თავდებობაა
ს. პ. პავლოვისა
[illegible] ტფილისში ლორის-მელიქოვის ქუჩა № 6.
ტელეფონი 349
Торговый домъ
С. П. Павлова и К°
Телефонъ 349
Тифлисъ, Лор.-Меликовская ул. № 6, противъ Правос. Семинаріи.
Богатѣйшій выборъ
Швейныхъ машинъ
и
Велосипедовъ

(100—3)

XXXX
გამოვიდა და იყიდება
## უბის წიგნი
1898 წლისათვის
= მშვენიერის ყდითა და ყარანდაშით =
ფასი 20 კაპ.
უბის წიგნში მოქცეულია მართლ-მადიდებელთა კალენდარი, უქმეები და დღესასწაულნი დაბეჭდილია წითელის ფერადებით და სურათები მეფე ერეკლე II-სა და თავ. ილია ჭავჭავაძის მოკლე ბიოგრაფიულის ცნობებით.
ვინც „ცნობის ფურცლის“ რედაქციიდან გამოიწერს, ფოსტის ფული არ დაეხარჯება, ფულის მაგიერ შეიძლება მარკები გამოგზავნონ.

## იოსებ იმედაშვილის წიგნის მაღაზიაში
(გიორგიევის ქ., ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ, არჯევანიძის სახლი, № 12)
იყიდება ყოველ-გვარი ქართული (ძველი და ახალი გამოცემული) წიგნები, რუსული ჟურნალ-გაზეთები და სახელმძღვანელოები.

საკუთარი გამოცემანი:
1, ლექსები და პოემები,—ი. ევდოშვილისა — 25 კაპ.
2, ბახტრიონი,—პოემა ვაჟა-ფშაველასი (სურათებით)—20 კაპ.
3, გლეხის ნაამბობი და სხვა ლექსები დ. მაჩხანელისა—5 კაპ.
4, დიდ-მოურავიანი, ანუ გ. სააკაძის ცხოვრება, პოემა თბილელისა — 30 კაპ.
5, ხალხური პოეზია, კრიტ. წერილი ფ. მახარაძისა —20 კ.
მსურველთ შეუძლიანთ გაიწერონ წიგნები ფას-დადებით (საკუთარს გამოცემებში ფოსტის ხარჯი არ გარდახდებათ). ფასი შეიძლება მარკებითაც გამოგზავნონ. სოფლის წიგნთ-საცავ-სამკითხველოებს ფას-დაკლებით დაეთმობათ წიგნები.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ. Книжная торговля I. Имедашвили.
იბეჭდება და მალე გასასყიდად გამოვა: „რა არის ხარკი?“ (10—5)

ფოტოგრაფიი
ალექსანდრე როინაშვილისა
ყიდულობს
ძველ ნივთებს და საგნებს—რკინისას, თუჯისას, ბრინჯაოსას, ვერცხლისას, ოქროსას, თიხისას, ქვისას, ფაიფურისას, რქისას და ძვლისას.
ხელ-საქმეს ძველებურის ხელობისას და ნაქსოვ-ნაქარგს და სხვა.
სამკაულს სხვა და სხვას ძველ დროინდელს
ძველს ფულებს და იარაღებს
მსურველთ მიმართონ ყოველ-დღე ერევნის მოედანზე საკუთარს ფოტოგრაფიაში
იქვე შეიძლება
სურათების გადაღება
იაფად, სწრაფად და ხელოვნურად.
Фотографія А. С. Роинова
тамъ-же
*Коллекція древностей*
Тифлисъ, Эриванская пл. д. Харазовой
(100—40

მთავრობისაგან ნება დართული
პანსიონი და სასწავლებელი
მასწავლებელი ქალის
## ნ. დიდებულიძისა
ტფილისი, მიხეილის ქუჩა, ხერხეულიძის სახ. № 146.
ღებულობენ ბავშვებს მოსამზადებლად საშუალო სასწავლებლებში.
ბავშვები მიიღება სასწავლებლად და საცხოვრებლადაც.
მიიღება აგრეთვე საქალებო გიმნ. მოწაფეებიც სადგომად და საცხოვრებლად.
პანსიონში ასწავლიან მუსიკას (პიანოზე და ვიოლინო)
მოლაპარაკება შეიძლება დილის 10 საათ. 3 საათამდე.

Пансіонъ и училище
Учительницы
Н. Дидебулидзе
Тифлисъ, Михайловок. ул. № 146.
Принимаются дѣти женскаго пола приходящ. и полнымъ пансіонерк. Квартиры съ полнымъ содержачніемъ для ученицъ гимназіи. Обученіе музыкѣ
(150—98)

სამკურნალო და ამბულატორია
## ს. ზ. თოფურიასი
ქუთაისში.
სამკურნალოში 50 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, კანისა და დედათა ავადმყოფობისანი.
გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან:
ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს ს. ზ. თოფურია.
საქირურგიო ავადმყოფობას და სიფილისს ფ. ქ. ზერრატი.
დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი მ. თ. კოგანი.
თვალების ავადმყოფობას—ი. ქ. ვარშავსკი.
ამბულატორიაში არის კაბინეტი, საექიმო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისთვის და მასაჟისთვის.
სამკურნალოს დირექტორი ს. ზ. თოფურია.
*Лѣчебница С. В. Топурія* въ Кутаисѣ.

## ამით ვაუწყებ

პატივცემულ საზოგადოებას, გამომცემელ ამხანაგობათა, კერძო გამომცემელთ, მესტამბეთა და წიგნებით მოვაჭრეთა და კერძო პირთაც, ვისთანაც-კი რაიმე საქმე გვქონია, რომ ამა წლის 20 იანვრიდან შევწყვიტეთ დღეიდგან ამხანაგური კავშირი მე და ზ. ი. იმედაშვილმა, რომელთანაც ზემოხსენებულ დრომდე გვქონდა საამხანაგო წიგნის მაღაზია ქ. თბილისში, გეორგიევის ქუჩაზე.
გავწმინდეთ-რა ერთმანერთ შორის ანგარიში, ხსენებული მაღაზია ზემოხსენებულ რიცხვიდან ეკუთვნის ზ. ი. იმედაშვილს, რომელმაც იკისრა ყველა იმ პირთა და დაწესებულებათა პირნათლად დაკმაყოფილება, ვისიც-კი რაიმე დავვალებია ამხანაგობის დროს, და რომელმაც აგრეთვე უნდა მიიღოს ყველა ანგარიში ჩვენ მიერ საკომისიოდ გაცემულის წიგნებისა ხსენებულ დრომდე.
ღრმესის პატივისცემით
(1—1) ს. ჭელიძე.

# ახალი ამბავი

*** **პანაშვიდი მეფე ერეკლე II-ზე შიიტთა ჯამეში.** როგორც უკვე ვაცნობებთ მკითხველთ, 22 თებერვალს ტფილისის შიიტთა ჯამეში გარდახდილ იქმნა სადღესასწაულო პანაშვიდი აუარებელ განათლებულ მუსლიმანთა, როგორც შიიტთა, ისე სუნიტთა თანადასწრებით. სანამ ლოცვა დაიწყებოდა შეიხ-ულ-ისლამის ნებართვით ჯამეში ჯამეში მიყვანეს ტფილისის სამოსლემანო სასწავლებლის მოწაფენი და მათი მასწავლებლები.
რამოდენიმე ხნის შემდეგ მივიდა სამღვდელოება ამიერ-კავკასიის შეიხ-ულ-ისლამის წინამძღოლობით, რომელსაც მოწაფენი მიეგებნენ „მინაჯათის“ გალობით.
მისი მაღალხარისხოვნება შეუდგა ღვთის მსახურებას და მიმართა სამწყოს გრძნობით სავსე სიტყვით შესახებ იმისა თუ რამნიშვნელობა აქვს სახელმწიფოს საზოგადოდ კაცობრიობისათვის და როგორ სავალდებულოა მოსლემანთა დოგმატების ძალით ხელმწიფეთა პატივის ცემა; შეიჰმა მოკლედ განმარტა მეფე ერეკლე II-ის ცხოვრება და მოღვაწეობა დაახასიათა მეფე ერეკლე II, როგორც ბრძენი და სამართლიანი განურჩევლად სარწმუნოებისა ყველა ქვეშევრდომთათვის, და როგორც დიდად საყვარელი თავის ერთგულ ქვეშევრდომ მოსლემანთათვის. სიტყვის წარმოთქმის შემდეგ გარდახდილი იქმნა პანაშვიდი მეფე ერეკლე II-ზე და დასრულდა შეუწყვეტელ „ამინ“—ით და მრავალჟამიერით მათი იმპერატორობითი დიდებულებათა ხელმწიფე იმპერატორისა, ხელმწიფე იმპერატრიცისა, ქვრივი იმპერატრიცისა, მემკვიდრე ცესარევიჩისა და მთელი სამეფო სახლობის მიმართ.
პანაშვიდის შედეგ, დამსწრე ალლართა, ბეგთა, შიიტთა და სუნიტთა სურვილისამებრ, გაგზავნილ იქმნა თანაგრძნობის დეპეშა მცხეთაში თავად-აზნაურთა წინამძღოლის თანაშემწე-ამსრულებელის სახელზე.

*** **ერობის საქმე ჩვენში.** ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თანანამდებობის აღმასრულებელმა შუამდგომლობა აღძრა იმის შესახებ, რომ ნება მიეცეს ბორჩალოს თავად-აზნაურთა წინამძღოლს მოიწვიოს 1 მარტისთვის მაზრის თავად-აზნაურთა საგანგებო კრება ტფილისის გუბერნიაში ერობის შემოღების შესახებ.

*** **უმართებულესი სენატი** მოკლე დროში გამოსთქვამს თვის აზრს იმის შესახებ, პასუხს აგებს თუ არა გლეხის ქონება, რომელიც შეადგენს საზოგადო საკუთრებას გლეხის ოჯახისას, თვითოეული მისი წევრის ვალზე.

*** **ქალაქის სარევიზიო კომისიების მოქმედების წესები.** როგორც ისმის, შინაგან საქმეთა სამინისტროს განზრახვა აქვს შემოიღოს განსაკუთრებული წესები, რომელთა ძალით ქალაქის გამგეობათა სარევიზიო კომისიებმა ქალაქის მკვიდრთა ინტერესების დასაცველად უნდა მოახდინოს ხოლმე რევიზია ერთხელვე დადგენილ ვადაზე; ამასთანავე ამ რევიზიების შედეგები უნდა წარდგენილ იქმნეს ქალაქის საქმეთა საგუბერნიო და საოლქო საკრებულოებში სწორედ იმავე დროს, როცა რევიზიის ანგარიში წარიდგინება საბჭოში.

*** **გადასახადი ადგილ-მამულის შესყიდვაზე.** კითხვა იმის შესახებ, თუ რა გადასახადი უნდა იქმნეს დადგენილი გლეხთაგან ამხანაგობით ადგილ-მამულის შესყიდვაზე, მოკლე ხანში განხილულ იქმნება სათანადო უწყების-მიერ.

*** პოლონეთის მწერლობა კავკასიის შესახებ. როგორც გაზ. «ნ. ობ.»-ეს სწერენ ვარშავიდან, ამ ბოლო დროს პოლონეთში ძალიან დაინტერესებულან კავკასიით და მისი სხვა და სხვა ხალხოსნობით: ხშირად თურმე სწერენ კავკასიის შესახებ. მაგ. ვარშავის საკვირაო «Glos»-ში შარშან დაბეჭდილი ყოფილა ბ. შტრუმპის წერილი: „ქართული მწერლობა“. შარშანვე კრაკოვის «ყოველთვიურ მიმოხილვაში» ზედი-ზედ დაუბეჭდიათ ბ. ზემბას რამდენიმე წერილი კავკასიის შესახებ, მაგ.: 1) «კათოლიკობა საქართველოსა და სომხეთში,» 2) «მოკლე მიმოხილვა საქართველოს ცივილიზაციისა», 3) «კავკასია არქეოლოგიური მხრით» და სხვ. კრაკოვის მეორე ჟურნალს «ცხოვრება»-ში მოთავსებული ყოფილა აკ. წერეთლის ორი ლექსი თარგმანი. ამბობენ თურმე, რომ ერთი ცნობილი პოლონელი მხატვარი და ლიტერატორი, რომელსაც ორი წელიწადი უცხოვრია კავკასიაში, ამზადებს დასაბეჭდათ ვრცელ შრომას კავკასიის ხალხოსნობათა მელოვნების შესახებ (ხუროთ მოძღვრობა, მუსიკა და სხ.) მასვე აღმოუჩენია თურმე კავკასიაში, სადღაც მთებში, პოლონურ კილოკავზე მოლაპარაკე ხალხი, ეს კილოკავი წაავავს თურმე XVII საუკუნის პოლონურ სალიტერატურო ენას.

*** დამფასებელთა დასის მუშაობა. ქალაქის დამფასებელთა დასმა გაათავა პირველ ხუთ საპოლიციო განყოფილებაში უძრავ ქონებათა დაფასება და გუშინ-წინ შეუდგა 6 საპოლიციო განყოფილების უძრავ ქონებათა დაფასებას.

*** მეტივეთა გადასახადი. (ქალაქის გამგეობის საყურადღებოდ) დიდი ხნიდანვე ქალაქის სასარგებლოდ გადასახადი ადევთ მეტივეებს მტკვრის ნაპირზე ხე-ტყის მოსაზიდავად (თითო შეშის ხეზე—20 კაპ. და შენობის ხეზე 30 კაპ.) და ამ გადასახადიდან ქალაქს 10—15 ათასი მანეთის შემოსავალი აქვს. ამ გადასახადზე, რომელიც არ დაუკანონებია საქალაქო დებულებას, 1891 წ.. ნება დართო შინაგან საქმეთა სამინისტრომ ხუთი წლის ვადით. ამ სახით ეს ვადა უკვე გავიდა 1896 წ. ქალაქის გამგეობა კი ისევ ისე განაგრძობს გადასახადის აღებას. ამას წინად გაზ. „კავკაზში“ გამოცხადებული იყო, რომ ქალაქის შუამდგომლობა ამ გადასახადის ნებართვაზე უარ-ჰყო სამინისტრომ და წინადადება მისცა გამგეობას, ეს გადასახადი „საქალაქო დებულების“ 63 და სტ. 31 მუხლით გათვალისწინებულ გადასახადზე შეეცვალა, ე. ი. აელო გადასახადი, ა) ტივების დასაყენებელ და საქონლის გადასაზიდ-გადმოსაზიდ ადგილზე და სხ. საინტერესოა ვიცოდეთ, ამიტომ, რა კანონის ძალით იღებენ ამ ქამად ხსენებულ გადასახადს და დაუბრუნებს თუ არა ქალაქის გამგეობა მეტივეებს უკანონოდ გამორთმეულ ფულს, თუ ვინიცობაა ეს გადასახადი საბოლოოდ იქმნა აკრძალული. უნდა შევნიშნოთ, რომ ეს გადასახადი სამძიმო და შემავიწროებელია მეტივე გლეხთათვის და ყოველთვის გამოუწვევია მათი მხრით აუარებელი თხოვნა-საჩივარი მისი მოსპობის შესახებ. („კავკაზი“).

*** სახაზინო თეატრის ანგარიში. ტფილისის სახაზინო თეატრის დირექტორს პ. ა. ოპოჩინინს წარუდგენია კავკასიის მთავარმართებლისთვის თეატრის სეზონის ანგარიში 1896 წლის 1 სექტემბრიდან 1897 წლის 1 სექტემბრამდე და აგრეთვე ფულის ანგარიში იმავე ხნის განმავლობაში. მთელი ანგარიშის განსახილველად მთავარ-მართებლის ბრძანებით შემდგარია კომისია მთავარმართებლის საბჭოს წევრის ტ. ს. პრიბილის თავმჯდომარეობით. მთელი წლიური შემოსავალი ხაზინის შემწეობასთან ერთად უდრის 180 ათას მანეთს.

*** ცხვრის დაკვლა ქალაქში. ტფილისის ქალაქის მოურავს შუამდგომლობა აღუძრავს ტფილისის გუბერნატორის წინ იმის შესახებ, რომ ნება მიეცეს ტფილისის მექუდეთა საზოგადოებას და სალდათის ბაზრის ყასპებს ამ თვის გასვლიდან ვიდრე ამაღლებამდე დაჰკლან ხოლმე ცხვრები ქალაქში, ვირონცოვის ქუჩის ბოლოზე და ძუხრანის ქუჩის ქვევით, მტკვრის პირად.

*** ფქვილის გაზიდვის საქმე. ფინანსთა სამინისტროს განზრახვა აქვს აღმოუჩინოს ნივთიერი დახმარება რუსეთის ფქვილის მწარმოებელთ, რომელნიც საზღვარ-გარეთ აგზავნიან ფქვილს. უმთავრესად აზრად აქვთ გამართონ სავანგებო გემები ფქვილის გადასაზიდავად

*** დამატებითი პენსიის კასა. წელს, როგორც ისმის, შემოღებული იქმნება დებულება სახალხო განათლების სასწავლებლების მასწავლებელ ქალთა და კაცთა დამატებითი პენსიის კასის შესახებ.

*** სათავ.-აზნ. ბანკის საქმეები. ტფილისის სათავად-აზნაურო საადგ. მამ. ბანკის წევრი ხ. ი. მამაცაშვილი იგზავნება პეტერბურგს ბანკის საქმეების გამო და, სხვათაშორის, ბანკის კრების თავმჯდომარეობის თაობაზე. ბ. მამაცაშვილს თან მიაქვს პროექტი, რომელიც ამ საგნის შესახებ ბანკის გამგეობას შეუდგენია.

*** ვანქის ტაძრის გატეხა. 23 თებერვლის წინაღამით გასტეხეს ტფილისის ვანქის ტაძარი. ბოროტგამზრახველთ ფანჯარა შეუმტვრევიათ, იქიდან შემძვრალან ტაძარში, მოუხვევიათ ხელი საღმთო ჰურჭლებისა, და სხვა და სხვა ვერცხლეულობისა, მოოქრულ ნივთებისა და ხალიჩებისათვის და შეუმჩნევლად გაპარულან. წაღებულია 1000 მანეთის საღირალი ნივთები. ჯერ-ჯერობით ქვეი ვერავიზე ვერ აუღიათ.

*** ელექტრონის კონკა და განათება. პეტერბურგის ელექტრონ-ტეხნიკური საზოგადოების „უნიონის“ თავმჯდომარემ ბ. ვივიდცევმა წინადადება მისცა ტფილის ქალაქის გამგეობას, გაგიმართავთ ელექტრონის კონკის რკინის გზას და ელექტრონის ცენტრალურ სადგურს ქალაქის გასანათებლადაო.

*** მეტრიკული ზომები. როგორც სატახტო გაზეთები გვაუწყებენ, ფინანსთა სამინისტროს გადაუწყვეტია შემოღებულ იქმნეს მეტრიკული ზომები ოფიციალურ ზომებად.

*** პოლიტეხნიკუმის საქმე ტფილისში. გაზ. „ნ. ობ.“ დეპეშით ატყობინებენ ბათუმიდან, რომ ბათუმის საბჭომ დაადგინა გამოუცხადოს ტფილისის ქალაქის გამგეობას სრული თვისი თანაგრძნობა ტფილისში პოლიტეხნიკუმის დაარსების განზრახვაზე და დაენიშნოს გახსნისათანავე ეთ მილიონ მცხოვრებთათვის ამ ერთად ერთ უმაღლეს სასწავლებელს ორი ათასი მანეთის შემწეობა.

*** ახალი დანიშნულება. ქუთაისის გუბერნიის, ლეჩხუმის მაზრის მომრიგებელ შუამავლად, როგორც ისმის, დანიშნულია თავ. სუმბათაშვილი.

— სიღნაღის ტყის—მცველი მლოკოჩიჩი გადაყვანილია ამავე თანამდებობაზე ზაქათალაში, ხოლო ზაქათლის ტყის მცველი მუსხინი—სიღნაღში.

| ბოლ. ევგ. სტატკოვსკი გზათა უწყების კავკასიის ოლქის უფროსად ნამყოფლი ტ. ს. ბ. ე. სტატკოვსკი ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ჭ. იალტში. განსვენებული 73 წლის იყო. მისი გვამი გადმოტანილ იქნება ტფილისში. განსვენებულმა იმსახურა კავკასიაში 50 წელიწადი მეტი. გარდა სახელმწიფო სამსახურისა, იგი სწევდა საზოგადოებრივ სამსახურსაც დიდხანს იყო საიმპერატორო სატეხნიკო საზოგადოების ადგილობრივი განყოფილების თავმჯდომარედ და საკმაო შრომა მიუძღვის კავკასიის შესწავლის საქმეში: ცნობილია მისი რუსული წიგნი „კავკასიის კლიმატოლოგია“. განსვენებული გარდა ამისა ერთ ხან ხმაოსნად იყო ტფილისის საბჭოში და წევრად საბჭოს კომისიებში.

*** იმერელ ხელოსანთა უწესობა. კვირას, 22 თებერვალს, სომხის ქუჩაზე ჩხუბი მოუვიდათ ერთ იმერელსა და ლეკს და შემდეგ ხელით შეებნენ ერთმანეთს. იმერელს იმერელი მიეშველა, ლეკს ლეკი და გაიმართა საშინელი ცემა-ტყეპა, რომელმაც კარგა ხანს გასტანა, რადგანაც პოლიციელმა დროზე ვერ გააშველა. ორი იმერელი და სამი ლეკი ცოტათი დაიჭრენ. დაჭრილები საავადმყოფოში წაიყვანეს. დამნაშავენი შეიპყრეს საზოგადოთ ახირებული ზნე სჭირთ დალოცვილ იმერელ ხელოსნებს. საკმარისია იმერელმა ხარაზმა ჩოხა ახალი შეიკეროს, ზორბა ხანჯალიც ჩამოიკიდოს, მის მედიდურობას საზღვარი აღარ აქვს. ამაყობენ, ლოთობენ, ცა ქუდად არ მიაჩნიათ, დედა მიწა ქალამნად. თუ ვისმეს მცირეოდენი მიზეზი უპოვეს, მეტი არ უნდათ, ხანჯლით მიიწევიან და უეჭველად დასჭრიან.

ვანო ჩიტეიშვილი

*** ს. წევა (იმერეთი). პანაშვიდი მეფე ერეკლეზე. კვირას, 22 თებერვალს, ს. წევის წმინდა გიორგის ეკკლესიაში დ. ლუკა მაღრაძემ და მ. მაკარი გაჩეჩილაძემ გადიხადეს პანაშვიდი საქართველოს

# სამეცნიერო ცნობა

### სქესთა მოთხოვნილება და მოქცევა.

ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ კაცობრიობის წინმსვლელობა-წარმატება გამოწვეულია შემდეგი ორი მიზეზით: შიმშილით და სიყვარულით.

მართლაც, უმთავრესი მიზეზი ადამიანთა წინმსვლელობისა შიმშილია-, ის შიმშილი, რომელიც მუდამ გვახსენებს თვის თავს. გამოვარკვიოთ ეს აზრი. მთელ დედამიწის ზურგზე ადამიანი იმის გულისთვის, რომ შიმშილი მოიკლას, იგონებს ათას გვარ საშუალებას. ან კი რა გამოგონებას დაასახელებ ისეთს, რომ შიმშილის წყალობით არ გაგვჩენოდეს? მონადირეობა, მეთევზეობა, მიწის მუშაობა, მრეწველობა, ყოველგვარი საზოგადოებრივი დაწესებულება, რომელსაც რაიმე კავშირი-კი აქვს მრეწველობასთან, ყოველივე ეს და მრავალი სხვა, რაც-კი ჩვენს დაწინაურებას მოასწავებს, სულ მარტო შიმშილის წყალობაა. გარდა ამისა, შიმშილი, ე. ი. კუჭის მოთხოვნილება, თავიდანვე იმას აიძულებდა ადამიანთ, რომ ერთათ ეცხოვრათ, ერთმანეთს დახმარებოდნენ საზრდოს მოსაპოებლად, ერთათ მოეგერებიათ მტრები, რომლებიც მათ ლუკმაზე ეცილებოდნენ და სხვ. ამ გვარათ შიმშილმა დაამყარა ადამიანთა შორის მჭიდრო ურთიერთობა და შეჰქმნა საზოგადოებრივი ცხოვრება. ასეთმა ურთიერთობამ და ცხოვრებამ-კი სწრაფი ნაბიჯით გააქანა კაცობრიობა წინ-მსვლელობის გზაზე და მიახწევინა იმ თანამედროვე უმაღლეს განვითარება-განათლებას, რომელსაც ჩვენი შორეული წინაპრები სიზმრადაც ვერ ნახავდნენ.

შიმშილის, ანუ უკეთ საზრდოობის მოთხოვნილების შემდეგ უმთავრესი ძალა-მნიშვნელობა ადამიანთა წინმსვლელობისათვის აქვს სიყვარულს, ანუ უკეთ სქესთა მოთხოვნილებას როგორც საზრდოობის მოთხოვნილება, ისე სქესთა მოთხოვნილებაც უნდა ჩაითვალოს იმ უმთავრეს ძალად, რომელიც ჰქმნის ცხოველთა და ადამიანთა საზოგადოებას, ერთობას. სიყვარულს მაინცროგორლა შეუძლია საზოგადოება შეჰქმნასო, იკითხავს გაოცებული მკითხველი. აი როგორ. სქესთა მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად ყოველ გვარ ცხოველთათვის აუცილებლათ საჭიროა რამდენსამე ხანს ერთათ იცხოვრონ ცოლ-ქმრულათ. ეჭვი არ არის, რომ ასეთი ერთათ ცხოვრება უმეტეს ნაწილათ ძალიან ხანმოკლეა; სულ დიდი-დიდი, მანამდი გასტანოს, სანამ შვილები აღიზრდებოდნენ. მიუხედავათ ამისა, რაც უნდა ხანმოკლე იყოს ასეთი ცხოვრება, იგი ყოველ შემთხვევაში ვალდებულად ხდის ერთათ მცხოვრებთ ყურადღებას აქცევდნენ ერთმანეთს და ზრუნავდნენ ერთმანეთისათვის. გაიხსენეთ, როგორი მზრუნველობით ეპყრობიან ერთმანეთს ერთი მეორის მოტრფიალე ჩიტები! მაგრამ ასეთი მზრუნველობა განსაკუთრებით თვალსაჩინოა მაშინ, როცა ორივე სქესი ერთათ ზრდის შვილებს. ამ დროს დედალი და მამალი ცხოველი ერთმანეთ შორის ინაწილებენ შვილების აღზრდის შრომას, ერთათ ებრძვიან ყოველგვარ დაბრკოლებას, ერთათ მიაქვთ იერიში მტერზე, ერთათ ლხინობენ ერთათ ჭირისუფლობენ, ერთმანეთის გულისთვის თავს შეაკლავენ მტერს, ორივე ერთნაირად თავს დადებს თავიანთი შვილებისათვის. ამ გვარათ, სქესთა მოთხოვნილების წყალობით, იბადება ცხოველთა შორის მეგობრული გრძნობა, ზნეობრივი კავშირი და საზოგადოებრივი მიდრეკილება.

—

ადამიანი არის იგივე ცხოველი, რომელიც მხოლოდ უფრო მაღლა დგას განვითარებით, ვიდრე სხვა ცხოველები. ეს მხოლოდ იმას ვერ შეუგნია, ვისაც ცხოვრება რიგიანათ არ შეუსწავლია. მაგრამ თუ ჩვენ კარგათ გავიცნობთ ცხოველების სულიერ ცხოვრებას, მაშინვე მოგვეღება ბოლო ჩვენს უსაფუძვლო ამაყობას და წარმოდგენას, თითქო ჩვენსა და ცხოველებ შუა დიდი უფსკრული არსებობდეს. მართლაც, ყოველ იმ გრძნობას, რაც კი ადამიანს აქვს, ჩვენ ცხოველებშიაც ვხედავთ ნასახად მაინც. რასაკვირველია, ისეთ მაღალ სიყვარულს, რომელსაც პოეტები უგალობენ და უძღვნენ ჩანგს, ასეთ სიყვარულს ადგილი არ აქვს ცხოველებში. მაგრამ ასეთი სიყვარული განა ადამიანებში კი ბევრჯან შეგვხვდებათ და მათშიაც განა ორიოდე რჩეულის ხვედრი არ არის? ხოლო მრავალი ვითომც განათლებული ადამიანი და აგრეთვე ველურები, სწორეთ ისეთ გაუმშვენებელ და სადა სიყვარულს იჩენენ, როგორსაც უბრალო ცხოველები. ის კი არა და სიყვარულის გრძნობით ადამიანები ხანდახან კიდეც ჩამორჩებიან ცხოველებს, რომლებიც ხანდახან სწორეთ პოეტურათ იჩენენ სიყვარულის გრძნობას. აი მაგალითები:

მამალი ჩიტი ხშირათ ნაზი გალობით აწონებს თავს დედალს,—მაგალითად, ბულბული; ზოგი მამალი ჩიტი კი ცდილობს მხედველობა მოუხიბლოს დედალს და ამის გულისთვის კეკლუცობს და კოპწიაობს მის წინ თავისი ლამაზი ფრთებით. ვის არ უნახავს, როგორ ნაზათ ჰკოცნიან ერთმანეთს დედალ-მამალი მტრედები! მაგრამ ყველაზე უფრო საყურადღებო ამ მხრით სამოთხის ჩიტია,—განსაკუთრებით-კი მისი ერთგვარი ჯიში, რომელიც უფრო ზრდილობიანი და გრძნობიერია. რომ თვისი სიყვარული სხვას არ დაანახოს, ეს საინტერესო ჩიტი იშენებს პატარა კარავს, რომელსაც შაქრის თავის მოყვანილობა აქვს. კარავის შესავალთან იმყოფება პატარა მინდორი, რომელიც მოფარულია ხავსით; ეს ხავსი აგია მწვანე ხალიჩასავით და მას ჩიტი ფერად-ფერადათ ამკობს ლამაზ-ლამაზი ჭრელა-ჭრულა საგნებით, რომლებსაც ზედ აყრის, სახელდობ,—ნაყოფებით, მარცვლებით, ყვავილებით, კენჭებით და სადაფებით. გარდა ამისა ჩიტი იმასაც ძალიან ცდილობს, რომ, როგორც კი დაჭკნება ყვავილები, მაშინვე აჰკრიფოს და მათ ადგილზე ახალ-ახალი და და ქორფა ყვავილები დაჰყაროს,

მეფის ირაკლი მეორის სულის მოსახსენებლად. წირვის შემდეგ დ. ლუკა მღრაძემ მოკლედ და გრძნობიერად განუმარტა ხალხს მეფე ირაკლის ცხოვრება და ღვაწლი საქართველოსადმი. პანაშვიდს მრავალი ხალხი დაესწრო.

ელფერ

*** ს. ჩიბათი (გურია). სოფლის სიმდიდრე. ეს სოფელი მდებარეობს გურიის დასავლეთის მხრით. დ. ლანჩხუთიდგან ათი ვერსის მანძილზე. ხსენებული სოფელი მდიდარია ყველა გვარი მოსავლით. აქ ხშირათ შეხვდებით იმ ჩხავრის ღვინოს, რომელიც გურიაში ერთ დროს განთქმული იყო, ხოლო დღეს კი სანთლით საძებარია. სიმინდს, ლომს და ალაგ-ალაგ პურსაც კარგი ნიადაგი აქვს ამ სოფელში. ამასთან საუცხოვოდ ეტანებიან ქვავის მოყვანას, რომელიც პურს არაფრით ჩამოუვარდება ღირსებით. განსაკუთრებით ქვავი მეტად კარგი საჭმელია ზამთარში, და არც სამ ოთხ დღეს წახდება გამომცხვარი, თუ შეინახავთ. აბრეშუმის მოსავალს ხომ დიდი ადგილი უჭირავს აქ და ნიადაგიც საუცხოვო აქვს. ვერსად იპოვით გაზაფხულზე ისეთ ოჯახს, რომ აბრეშუმს არ აკეთებდეს. მეაბრეშუმეობას ხელს უწყობს ის გარემოებაც, რომ ბჟოლის (თუთის) ფურცელი ბლომად არის და არც ისეთი დამწვარია, როგორც ზოგიერთს ცხელ ადგილებშია. აბრეშუმის მოსავალი დიდ წარმატებას აძლევს სოფლის მკვიდრთ და დიდს შემოსავალსაც.

— სკოლის მდგომარეობა. აქ არსებობს ორ-კლასიანი სამინისტრო სასწავლებელი, სადაც მოსწავლეთა რიცხვი საკმარისია. ეს ორი წელიწადია, რაც ამ სკოლაში მასწავლებლად გადმოვიდა ბ-ნი ს. ჯორბენაძე, რომელმაც სკოლას დიდი წარმატება მისცა. განსაკუთრებით ჯორბენაძე ცნობილია მეაბრეშუმეობაში. ჯორბენაძის მიერ მომზადებული თესლი ყოველთვის ისეთი გამომდგარა, რომ ბევრად უკეთესი ყოფილა საზღვარ გარეთის თესლზე. მოთხოვნილებაც დიდი აქვს მის მიერ მომზადებულ თესლს.

შემთხვევით მწერალი

*** ქუთაისი. ცეცხლის მსხვერპლი. 8 თებერვალს გიგო ქლიკაძის ხუთი წლის პატარა ქალმა გახურებული ფეჩის კარი გამოაღო; ფეჩიდან ცეცხლის ალი გამოვარდა და ბავშვს კაბაზე მოედო. დაინახა თუ არა ეს იქვე მყოფმა დედამ, წამოვარდა და ბავშვს კაბაზე ხელის სმა დაუწყო ცეცხლის გაქრობა მაგრამ ცეცხლი კიდევ უფრო გაძლიერდა, ტანზე მოედვა ბავშს მთლიად დაისრუტა. ხოლო დედას ისე დასწვოდა ხელები რომ ექიმმა დაუსერა,

სიმონ კოტრიკაძე.

## ყურ-მოკრული საუბრები

— მამა-ჩემი მდიდარია, მამაშენი ღარიბი.

— მამაჩემი სამაგიეროდ მამაშენზე ჭკვიანია.

— მამაშენმა მამაჩემისაგან ფული ისესხა.

— მ-მაჩემი-კი მას კაპიკსაც აღარ მისცემს.

---

## გურიის სავაჭრო-სამრეწველო ამხანაგობის «შუამავლის» წლიური კრება.

ამის შემდეგ კამათი შესწყდა. დაუდგეს ყუთები წარმომადგენელთ და არჩეულ იქმნენ 53 წარმომადგენელი: 50 ნამდვილ წარმ., ხოლო 3 მათ კანდიდატად. ამ სიას ბოლოს მოვიყვან, ეხლა-კი მოვიხსენიებ ერთს მეტად საყურადღებო ამბავს, რომელიც მოხდა კენჭის ყრის შუა. გამგე კ. ჩ. თავართქილაძემ კრებას წერილობითი განუცხადა შემდეგი:

რადგან მე სარევიზიო კომისიის წევრთ ბრალდებულის სკამზე დამსვეს, დღეს მე ამაზე უნდა წარმომედგინა თავის გამართლება, მაგრამ რაკი ვერ მოვასწარი, ვითხოვე დროება; შემდეგში მე წარმოვადგენ საბუთებს, თუ რამდენად სამართლით აღჭურვილია ჩემზე შემდგარი ოქმი. ამას კიდევ არ დასჯერდნენ და ჩემ მიერ შეფასებული 18000 მან. კომისიამ შეაფასა 12500 მან. და ზოგიერთები იმასაც-კი ამბობენ, რომ 5000 მ. მეტად არა ღირსო. მოგახსენებთ, რომ ჩემ მიერ წარმოდგენილი ანგარიში სრულიად მართალია, ნამდვილი და უეჭველი (?), ხოლო თუ ის ანგარიშისა სიტყვები მართალია და ამხანაგობა საშიშ მდგომარეობაშია, მაშინ მე მზათა ვარ ჩავაბარო აწინდელს გამგეობას ათი ათასი მანეთი ნაღდი ფული და ყოველივე ამხანაგობის მოძრავ-უძრავი ქონება მე დამრჩეს, ამაზე გთხოვთ დაადგინოთ განაჩენი (საზოგადოებაში ღრტვინვაა, ზოგის სახეზე ზიზღი გამოკრთის, ზოგი კითხვითი ნიშანს წარმოადგენს).

მას. თუმასაშვილი. ბრალდების ოქმი ჩვენ არავისთვის არ შეგვიდგენია, რაც ვნახეთ ის წარმოვადგინეთ და რაც გვითხრეს ციფრებმა ის მოგახსენეთ; დღეს ჩვენ გამგე გვამცირებს და თავს კიდევ უარესად იმცირებს; გვიწოდებს „ანგარიშიანს“, თვით-კი უარესი ანგარიშიანობა გამოუდის; მან დააფასა 18000 მან., ხოლო ჩვენ 12,500 მან., ის-კი იძლევა 10,000 მან., ე. ი. ჩვენს და მის შეფასებაზე ბევრით ნაკლებს; რომელი ამბობს მართალს—გამგე თუ დავთრები, ის თუ ჩვენ. გამგე ჩვენ გვამცირებს და ძირს უთხრის საზოგადოებას.

კ. ჩ. თა—ძე: მე არ ვამბობ იმას, რომ ამხანაგობის ქონება მეტათ არ ღირდეს, მაგრამ რადგან თქვენ 5 ათ. მანეთად შეაფასეთ, უ მეტი არ შემიძლია, ათი ათას იმიტომ ვიძლევი.

ის. რამიშვილი: მოხსენებულ სიტყვის შემდეგ მე მეტს არას ვიტყვი, რასაც თვით მისი თხოვნა ამბობს, ვისაც ყურნი ასხენ სმენად, ის კარგად მიხვდება, რა ქვია ამას. ჯერ სული ამოგვხადა, გაგვცარცვა მერე მას უნდა კერძოთ მთელი ამხანაგობის წარმოება შეიყიდოს და კვლავ თვისი „მე“ გააბატონოს. ამას ხომ დიდი განმარტება და კომენტარიები აღარ სჭირია, მე ჩემსას კი ვერ მივყიდი და თქვენი-თქვენ იცით. ბატონებო გნებავთ მიჰყიდეთ, მხოლოდ მე მითხარით და მეღგომება მე აქ ამის შემდეგ თუ არა (დარბაზიდგან გადის). საზოგადო აღელვებაა, გაისმის. რას ჰქვია გაყიდვა, კიდევ დავტოვებთ ოც ოც მანეთს და დაწყებულ საქმეს კი არ მოვშლით...

შემდეგ კენჭის ყრისა გადაწყდა, რომ წრეულსვე დაურიგდეთ დივიდენდი, მაგრამ რადგან ჯერ კიდევ არ არის გამორკვეული, თუ ნამდვილ რამდენი გვრჩება ხარჯს გარდა, რადგან ჯერ გამგე ჯამაგირში დაუკმაყოფილებელია, ამიტომ მიენდო წარმომადგენელთა მომავალ კრებას გამგის ჯამაგირის დანიშვნა და დივიდენდის დარიგება. ამის შესახებ რეთმა ლანჩხუთელმა გლეხმა სთქვა: თუ გინდათ, რომ საქმე წინ წავიდეს, წევრებმა იმატოს, სულ რომ ჩემს ოც მანეთ თავს მოაკლოთ, რაცხა სარგებელი, მაინც დაგვირიგეთ ამით მე რომ მეზობელი მყავს იმას მოვიყვან აქ წევრათ. შემდეგ გამგემ ითხოვა, რომ მას მიეცეს ჯამაგირი ხოლო, რადგან შარშან გარდასწყვიტეს % მიეცათ ჯამაგირი, ამიტომ მას ეჭვი შემოაქვს, რომ განგებ მოსაგებს არ უჩვენებენ რომ მას ჯამაგირი დაუკლონ.

საზოგადოებამ გამოსთქვა ის აზრი, რომ გამგეს. მაინც მიეცეს ჯამაგირი თუ გინდ მოსაგებელი არ გვენახვოსო. კენჭის ყრის შემდეგ აღმოჩნდა, რომ არ აღერჩია საზოგადოებას ერთი სოფლის სკოლის ზედამხედველი, ერთი ექიმ-აქსიზნი და ერთიც კერძო ...ექიმი... და აი ვინ იქმნენ არჩეულნი ხმის უმეტესობით.

უკენქოთ თ. სიმ. დ. გუგუნავა, თავდგირიძე ნიკო 127. ვერულაშვილი დიომ. 125. თოხაძე მამა არსენ 124. გოგიტიძე იოსებ 123. ანთაძე ესტ. 115. წითლიძე არსენ 112. ნაკაშიძე მიხ. 116. ბერეჟიანი ივ. 110. მჭეიშვილი სოლ. 109. რამიშვილი ის. 109. მგელაძე ილ. 109. ხუნდაძე ვას. 103. მჭეიშვილი ივ. 103. თიკანაძე ივ. 92. მარგალიტაძე გიორ. 26. ღლონტი ან. 92. ნაკაშიძე ერმ. 90. ჩხეიძე კარ. 98. ურუშაძე მოსე 95. თუმანიშვილი მიხ. 94. კალანდაძე ბეს. 93. თაყაიშვილი იაგ. 83. საბაშვილი ივ. 84. ჟორდანია ნიკ. 82. ჯიბლაძე სილ. 82. მენაბდე სპ. 80. აბაშიძე დავ. 86. გუგუნავა დავ. 87. კალანდარიშვილი დიმ. 78. წუწუნავა რაჟ. 79. ბერძენიშვილი ექ. 74. პავლოვი გრიგ. 70. ჟორდანია კოსტა 70. კალანდარიშვილი დიომ. 75. თოხაძე დავ. 62. ბლად. ხუნდაძე სილ. 66. გვარჯალაძე 53. მღ. სოლ. დუმბაძე 52. თოიძე ალ. 58. ბლად. დიმ. ქიქოძე 53. ჭელიძე იაგ. 37. ქადიეშვილი იესე 30. სვანიშვილი ივ. 37. ჟორდანია ი. 39. ფირცხალაიშვილი გიორ. 32. მუჯირი ანტ. 35. ორაგველიძე შევარდ. 26. ვაშალომიძე სილ. 21. გვარჯალაძე იაგ. 25. ებრალიძე ლეონ. 25. ჩხაიძე ტარასი 24. მამულაიშვილი დავით თანასწორეთ შავი და თეთრი. ამათი კრება უნდა მოხდეს 1 მარტს და უნდა მიიღონ ყველაფერი ანგარიში და უნდა შეადგინონ ახალი გამგეობა.

ჩვენ ვწერთ ისე, როგორც დამსწრე მეთვალყურე. არავისი მიდგომა ჩვენი მიზანი არ ყოფილა, რაც გავიგონეთ, ვეცადეთ ზოგი სრულათ და ზოგის დედა აზრი მაინც მიგვეწოდებინა ჩვენი ქვეყნის გულ-შემატკივართათვის. ანგარიში ამხანაგობისა ჩვენ არ მოგვყავს, რადგან

---

ამ თავისებურ შენობას ჩიტი ისე მკვიდრათ აშენებს, რომ მითი სარგებლობს არა მარტო ერთი, არამედ მრავალი ჩიტი რამდენიმე წლის განმავლობაში.

ისეთი მორცხვობა და გრძნობიერება, როგორსაც სამოთხის ჩიტი იჩენს, სრულიად არ გააჩნიათ უმდაბლესათ განვითარებულ ხალხებს, —მაგალითად, პეშერესებს, ტასმანიელებს და ავსტრალიელებს, აგრეთვე რამდენსამე განვითარებულ ტომს. პეშერესები და ავსტრალიელები სრულიად ტიტვლები დადიან, მხოლოდ გასათბობად იმოსებიან და ისიც მსუბუქათ.

მორცხვობის გრძნობა უფრო ხშირათ თითქო დედაკაცს ებადება. მაგალითად, ტასმანიელი ქალი, რომელიც ჩვეულებრივ სრულიად ტიტველი დადიოდა, მიწაზე დაჯდომის დროს ფეხებს ისე იკეცავდა, რომ „არაფერი“ გამოსჩენოდა. პირველათ დედაკაცი ცდილობს სხეულის დაფარვას. მაგრამ ხშირათ ის ტანისამოსი, რომელსაც ქალი ამ მიზნით იგონებს, იმდენათ უხეიროა, რომ ვერ ასრულებს თავის დანიშნულებას, —მაგალითად, ასეთია გოტენტოტის ქალის წინ-საფარი, ან კიდევ ახალ-კალედონიელ ქალების ფოჩებიანი სარტყელი, რომლის შემორტყმის ნება მხოლოდ გათხოვილებს აქვთ. ახალგაზდა ქალების ტიტვლათ სიარული საზოგადო წესია ველურ ხალხთა უმეტეს ნაწილში, — თითქმის ისეთ ველურებშიაც-კი, რომელთაც უკვე შემოღებული აქვთ ტანისამოსის ხმარება. მართალია, ზოგან მამაკაცებს უფრო ემჩნევათ მორცხვობის გრძნობა, მაგრამ იშვიათათ. ტრინიდატის კუნძულის აღმოჩენის დროს, ნახეს, რომ ამ კუნძულის ქალები სრულიად ტიტვლები დადიოდნენ, მამა-კაცები-კი რაღაცას იხვევდნენ ტანზე; ან კიდევ შუა აფრიკის ქალაქ ლარში ქალები სრულიად არ იცვამენ ტანისამოსს, თუმცა ამ ქვეყნის მცხოვრებნი ბარბაროსები უფრო არიან, ვიდრე ველურები.

ერთი სიტყვით მორცხვობა სხვა-და-სხვა განუვითარებელ ხალხს სულ სხვა-და-სხვა გვარათ ესმის. პოლინეზიელი ქალები მართალია იცვამენ ერთგვარ ტანისამოსს, რომლითაც მხოლოდ თავსა და წელს იფარავენ, მაგრამ ჩაუცმელათაც არ რცხვენიათ ხალხში გამოჩენა; ისინი, მაგალითად, ევროპიელების გემის გარშემო ტიტვლათ ცურავდნენ და ზედ გემზედაც ტიტვლები შედიოდნენ. სანდვიჩევის ქალები, რომლებამდინაც უკვე ცივილიზაციის შუქსაც მიუხწევია, ტიტვლები მისცურავდნენ გემებთან, ტანისამოსი, ფეხსაცმელები და ქოლგა თავზე გამოებათ და მხოლოდ გემზე იცვამდნენ ხელმეორეთ. ახალ ციტერის კუნძულზე ქალები ისეთ ადგილზე ირთობოდნენ ზღვის პირათ, საცა მრავალი უცხო ხალხი მიდი-მოდიოდა.

ასეთი მაგალითი აუარებელია. აფრიკაში აპინჯის ტომის ახალგაზდა დედოფალმა, რომელსაც ერთმა მოგზაურმა მიტკლის ნაჭერი აჩუქა, თავისი სტუმრის წინ გაიხადა ტანი და გაიშინჯა, აბა, როგორ დამიმშვენდეს საჩუქარიო. კამჩატკაში, საცა მკაცრი სიცივე იცის, ქალები თუმცა, რასაკვირველია, კარგათ იცვამენ გასათბობად, მაგრამ სამაგიეროთ მთელი ჯალაბობის თვალწინ ლოგინობენ და არ ერიდებიან ამ დროს მამაკაცებს—არც ხნიერებს, არც ახალგაზდებს.

არა მარტო ველურები, ხშირათ განათლებული ხალხიც ნაკლებ ყურადღებას აქცევს ტანისამოსს, —მაგალითად, განათლებულ ისპანიის ქალაქ მენდოზაში დილა-საღამოობით ქალები და კაცები ერთათ ბანაობენ ტიტვლები ქალაქის მდინარეში.

ზოგიერთი ხალხი მეტათ ახირებულათ და თვისებურათ იჩენს სირცხვილის გრძნობას: მაგალითად, ჩინელები ძრახავენ ისეთ მამა-კაცს, რომელიც დაინახავს ქალის ფეხს, ფეხსაცმელით დასახიჩრებულს. მხატვრები ცდილობენ, არ დახატონ ასეთი ფეხი სურათებზე; ან კიდევ ლაპარაკში ასეთი ფეხის ხსენება უზრდელობად მიაჩნიათ. აი მეორე მაგალითიც: ქალაქ ბასრაში ქალი, თუ მას ბანაობის დროს თავს წაესწრენ, ვალდებულია მხოლოდ პირისახე დაიმალოს. ასე იქცევიან ქალები ეგვიპტეშიაც და სხვაგან.

ყველა ზემოთ მოყვანილი მაგალითები, რომლების დასახელება უფრო ბლომათაც შეგვიძლია, საცსებით გვიმტკიცებენ, რომ მორცხვობის გრძნობა ადამიანს თანდაყოლილი როდი აქვს. როგორც ყოველი სხვა ამაღლებული გრძნობა, მორცხვობის გრძნობაც ისეთი ზნეობრივი თვისებაა, რომელსაც ადამიანი ნელ-ნელა და თანდათან იძენს. ეს სხვათა შორის, იმითაც მტკიცდება, რომ ჩვენც კი მორცხვობის გრძნობა სწრაფათ და ადვილათ გვეკარგება, როცა რაიმე განსაცდელი მოგვადგება, ან როცა ავათ ვართ.

მორცხვობის გრძნობა უმეტეს ნაწილათ ქალს უფრო ემჩნევა და ეჭვი არ არის, რომ ამ გრძნობას ქალში ქმრის ეჭვიანობა იწვევს. სანამ ქალი ტიტველი დადის, იგი ყოველ მამა კაცს აღუძრავს ნდომას, ყოველი მამა-კაცი „შეეხება“ მას და ეს კი არაფრათ ეპიტივება მის მეუღლეს; ამიტომაც, რომ თავის მეუღლესთან განხეთქილება არ მოუვიდეს, ქალი ცდილობს არ დაანახვოს თავისი სიტიტვლე სხვა მამაკაცებს და იმოსება.

რომ ქალის ტანჩაცმულობას ქმრის ეჭვიანობა იწვევს, ეს სხვათა შორის, იქიდანაც სჩანს, რომ ახალგაზდა უქმრო ქალები ველურებში უფრო ხშირათ შეგხვდებიან ტიტვლათ, ვიდრე ქმრიანებში.

მამა-კაცებს, თითქმის განათლებულთაც, მორცხვობის გრძნობა ბევრათ უფრო სუსტი აქვთ, ხოლო ველურები უმეტესათ სრულებით ვერ იცნობენ ამ გრძნობას. ზოგი ხალხი, მაგალ. დინკასები, კიდეც ამაყობენ იმით, რომ არავითარ ტანისამოსს არ იცვამენ. მათში ტანისამოსის ჩაცმა ადამიანის დამამცირებელი საქმეა და მხოლოდ ქალები იმსებიან. ერთი ევროპიელი მოგზაური დინკასებმა სასაცილოდ აიგდეს ჩაცმულობისათვის და «ოსმალოს ქალი» უწოდეს.

სვ.—ლი

ამას ჩემზედ უკეთ წარმოადგენს სარევიზიო კომისია. ამისი დავალებულიც არის, ჩვენ სრული იმედი გვაქვს რომ პირველ მარტს ყველა წარმომადგენელნი შეიკრიბებიან და პირუთვნელად გამოარკვევენ ყველაფერს.

აპ. წულაძე

## სამკურნალო დარიგება

—

დამთვრალის რჩევა. ძალზე გამობრუჟული (დამთვრალი) გონებას ჰკარგავს, სახე უუკითლდება, თვალები უდიდდება, ნელ-ნელა სუნთქავს, მაჯის ცემა სუსტდება, ტუჩი უცივდება, პირიდან დორბლი ჩამოსდის და ბოლოს მძიმე ღრმათ იძინებს. დამთვრალს უნდა გახადონ, დაასხან ცივი წყალი და ფრთხილად აიმრიონ აქეთ-იქით (ხან მარჯვნივ, ხან მარცხნივ) შემდეგ გააგრან კუნთებზე გარეცია, გაუკეთონ ოყნა წყლისა, ცოტა მარილისა და ძმრისაგან, გაუსვხონ შალით ტანი, სასუნებლად მისცენ ნიშადურის სპირტი და ფრთხილად ჩაასხან (პირში) მაგარი შავი ყავა. კარგია თითით ან ფრთის ჩაყოფით ამოაღებინონ სასმელი, დაადვარონ მუცელზე რამდენჯერმე შეგეცილი მარილ წყალში გაკლებული ტილო და ზევიდან გადაადვარონ მატყლის რამე; შემდეგ ასმევენ ერთს ჭიქა წყალს შუშხუნა პარაშოკით და აძინებენ მშვიდათ. თუ მეტის მეტად ავათ გახდა, საჭიროა ექიმის მოყვანა.

ქ. გაბო

## გამოსადეგი ცნობა

—

შეღებილის ღვინის შეტყობა ძლიერ ადვილია. 15—20 წუთის განმავლობაში ღვინო ცოტათი შეათბეთ. ალკოჰოლი გაჰქრება და როდესაც ღვინო ადუღდება, აიღეთ თეთრი მატყლის ქსოვილი, ჯერ წყალში დაასველეთ და მერე ამ ღვინოში ჩასდეთ, თუ ღვინო შეღებილია, ქსოვილიც ალის ფრად შეიღებება, თუ არა და, ფერს არ შეიცვლის.

# განცხადებანი


!!ერიდეთ, არ მოსტყუვდეთ!!

**პირიბინალური**

ბოროო-ტიმოუულის საპონი

## გ. ფ. იურგენსისა

აქრობს ჭორფლს, სიცხისაგან დაწვას, ყვითელს ლაქებს, ფერის მჭამელასა და მეჭეჭებს, აგრეთვე სპობს ოფლს. ვურჩევთ, როგორც კეთილ სუნნელოვანი და მაღალის ხარისხისა, ეს საპონი იხმარონ.

ოქროს მედალი 1894 წ.

ფასი თვითო ნაჭერისა **50** კაპ., ½ ნაჭერი **30** კაპ.

ისყიდება ყველა საუკეთესო სააფთიაქო მაღაზიებსა და აფთიაქებში

პირველი საწყობი მთელის რუსეთისათვის გ. ფ. იურგენსონს მოსკოვში აქვს. დეპო ტფილისში აგმუროვთან, კავკასიაში სააფთიაქო ნივთებით მოვაჭრე ამხანაგობასთან, წურინოვთან, გრივნაკთან, ძმ. პოპოვებთანა და არისტაკოვთან.

(24—14)



## საზღვევი საზოგადოება „იაკორი“

უმაღლესად დამტკიცებული 1872 წელს მოსკოვში

ტფილისის უმთავრესი სააგენტო ღებულობს:

**დაზღვევას ცეცხლისაგან**

ყოველ-გვარ უძრავ და მოძრავ ქონებისას.

**დაზღვევას სიცოცხლისა და თანხებისა**

შეღავათიანის პირობებით, მაგალითად შეღავათი იმ შემთხვევაში, როცა დაზღვეულს შრომა არ შეუძლიან და აგრეთვე დაზღვეულს სარგებლობა ეძლევა საზოგადოების მოგებიდან.

**დაზღვევა უბედურ შემთხვევისაგან**

მიიღებიან საერთოდ დაზღვევა მუშებისა, ქარხნებსა და სახელოსნოებში, აგრეთვე დაზღვევა კერძო პირებისა.

**დაზღვევა გაგზავნილ საქონლებისა**

ზღვაზედ, მდინარეებზედ თუ ხმელეთზედ, აგრეთვე დაზღვევა გემებისა.

თხოვნებით და ყოველ-გვარ ცნობათა შესატყობად დაზღვევაზე შეიძლება მიჰმართონ ტფილისის კონტორაში უმთავრესს აგენტს ალექსანდრე გრიგოლის-ძეს სერგეევს, ერევნის მოედნის ყურში, თავ. ციციშვილის სახლებში № 2. და აგრეთვე მოსკოვში საზოგადოების გამგეობაში.

*Страховое Общество* **„ЯКОРЬ“**

**Высочайше утвержденное въ 1872 г. въ Москвѣ**

**Принимаетъ:** 1)Страхованіе отъ огня, 2) страхованіе жизни и капиталовъ. 3) страхованіе отъ несчастныхъ случаевъ и 4) страхованіе транспортовъ.

**Контора Тифлисскаго Главнаго Агента, Александра Григорьевича Сергѣева**

на углу Эриванской площади, д. кн. Циціанова № 2.

(50—4)



ПОДПИСНАЯ ЦѢНА на газету

## „СВѢТЪ“

**съ „приложеніемъ романовъ“**

*съ пересылкой и доставкою:*

| | | безъ приложенія |
|---|---|---|
| **На четверть года:** | | |
| съ 1 января по 1 апрѣля | | |
| „ 1 апрѣля по 1 іюля | 2 р. | 1 р. |
| „ 1 іюля по 1 октября | | |
| „ 1 октября по 31 декабря | | |
| **На полгода:** | | |
| съ 1 января или съ 1 іюля | 4 — | 2 — |
| **На девять мѣсяцевъ:** | | |
| съ 1 апрѣля | 6 — | 3 — |
| **На годъ:** | | |
| съ 1 января | 8 — | 4 — |

**На иные сроки подписка не принимается.**

*Примѣчаніе:* Подписка на „Приложеніе Романовъ“ къ газетѣ „Свѣтъ“ принимается лишь одновременно и нераздѣльно съ газетою на одинъ и тотъ же срокъ. Лица, выписавшія одну газету, могутъ получить впослѣдствіи „Приложеніе Романовъ“ не иначе, какъ выписавъ новый экземпляръ газеты съ „приложеніемъ“.

Адресъ редакціи: *СПБ., Невскій, 138.*

(12—3) Редакторъ-издатель **В. В. Комаровъ.**



Открыта подписка на 1898 г. (V г. изд.)

**на еженедѣльный** иллюстрированный *безъ предварительной цензуры*

ЕКОНОМИЧЕСКІЙ и СЕЛЬСКОХОЗЯЙСТВЕННЫЙ журналъ

## ХОЗЯИНЪ

Въ 1898 г. журналъ будетъ издаваться *по той же программѣ*, въ томъ же объемѣ и *при томъ же составѣ редакціи* и главныхъ сотрудниковъ, что и въ предыдущемъ году.—Годовые получатъ въ 1898 г. безплатно:

1. Сборникъ статей по сельскому хозяйству—**И. А. Стебута.**
2. Руководство по огородничеству—**М. В. Рытова** Вып. III.
3. *Шесть проектовъ сельско-хоз. построекъ (въ краскахъ).*

Новые подписчики могутъ получить первые два выпуска „Руководство по огородничеству“ М. В. Рытова вмѣсто 1 р. 20к. за 80 к.

На годъ **6** руб., на полгода **3** р. съ перес. Разсрочка **1** р.

Ред. **А. Мертваго.** Петербургъ, Невскій, 92. Изд. **И. Машковцевъ.**

(12—5)



ОТКРЫТА ПОДПИСКА НА 1898 ГОДЪ НА

## ЖУРНАЛЪ ЖУРНАЛОВЪ

и

**Энциклопедическое Обозрѣніе.**

Новое иллюстрированное ежемѣсячное изданіе **безъ предварительной цензуры**, составленное отчасти по образцу иностранныхъ журналовъ Review of Reviews (англійскаго и американскаго). Revue des Revues и др.

Кромѣ оригинальныхъ статей, написанныхъ спеціально для журнала выдающимися учеными и мыслителями, какъ русскими, такъ иностранными, журналъ помѣщаетъ извлеченія или экстракты изъ статей извѣстнѣйшихъ авторовъ и замѣчательнѣйшихъ статей, появляющихся въ русской или иностранной печати.

Въ программу журнала входятъ: науки естественныя, медицинскія, физико-математическія, исторія и общественныя науки, философія, метафизика и психологія, искусства и критика, обозрѣніе журналовъ, смѣсь и проч.

Отдѣлъ наукъ естественныхъ и медицинскихъ будетъ **выходить при ближайшемъ сотрудничествѣ и подъ наблюденіемъ Академика Князя И. Р. Тарханова.**

Отдѣлъ исторіи и общественныхъ наукъ—**при сотрудничествѣ** и подъ наблюденіемъ **В. Ф. Головачева.**

*ПОДПИСНАЯ ЦѢНА:*

на роскошное изданіе за годъ съ доставкою и пересылкою 10 р. на дешевое изданіе за годъ съ доставкою и пересылкою 6 р., на дешевое изданіе за годъ безъ доставки 5 у.

(Разсрочка на дешевое изданіе съ пересылкою и доставкою допускается при ежемѣсячныхъ взносахъ по 2 рубля въ теченіе 3-хъ мѣсяцевъ).

Контора и редакція въ С.-Петербургѣ, Гороховая 13 (уг. Б. Морской). (12—5) Издатель-Редакторъ И. П. Кондыревъ



1898. ОТКРЫТА ПОДПИСКА 1898.

на общедоступный, иллюстрированный, еженедѣльный журналъ *подъ названіемъ*

## „ЖУРНАЛЪ НОВѢЙШИХЪ ОТКРЫТІЙ И ИЗОБРѢТЕНІЙ“.

**Въ теченіе 1898 года подписчики получать:**

**52** еженедѣльныхъ, иллюстрированныхъ номера, заключающихъ въ себѣ описаніе новѣйшихъ открытій и изобрѣтеній въ общепонятномъ и ясномъ изложеніи, доступномъ всякому развитому человѣку.

**12** иллюстрированныхъ выпусковъ, заключающихъ въ себѣ слѣдующія сочиненія.
I. **Сельскохозяйственные промыслы.**
II. **Силы природы и пользованіе ими.**
III. **Самодвижущіеся экипажи:** паровые, керосиновые, электрическіе.

„Журналъ новѣйшихъ открытій и изобрѣтеній“ даетъ описаніе всѣхъ выдающихся современныхъ открытій и изобрѣтеній въ ясномъ и общепонятномъ изложеніи, поясняемомъ рисунками. Онъ также знакомитъ читателей съ успѣхами техники въ Россіи и за границей, съ положеніемъ существующаго уровня промышленности и условіями возникновенія новыхъ выгодныхъ производствъ. Библіографическій отдѣлъ даетъ свѣдѣнія о новыхъ сочиненіяхъ на русскомъ и иностранномъ языкахъ по всѣмъ отраслямъ **техники и** естествознанія, а перечень привилегій снабжается **краткимъ изложеніемъ** сущности изобрѣтеній.

*Подписная цѣна* на журналъ вмѣстѣ со всѣми **приложеніями** съ пересылкою: на годъ—7 р., на ½—1 р., на **3 мѣсяца—2 р. 50** коп., за границу—10 р.

Адресъ редакціи: *С.-Петербургъ, Фонтанка, 68.*

**Допускается разсрочка** (при подпискѣ исключительно въ **конторѣ Редакціи**): при подпискѣ—3 р., въ Апрѣлѣ—2 р., въ іюлѣ—2 р.

(6—5) Редакторъ-издатель **Н. Песоцкій.**



ОТКРЫТА ПОДПИСКА на 1898 годъ.

**(годъ второй)**

***на литературный, научный и политическій журналъ***

## „ЖИЗНЬ“

Выходитъ въ С.-Петербургѣ книгами большаго формата отъ 8—11 печатныхъ листовъ (128—176 стр. каждая) **три раза въ мѣсяцъ** (1, 11 и 21).

**Подпис ая цѣна на годъ, за тридцать шесть книгъ, СЕМЬ рублей съ доставкой и пересылкой.**

***Въ журналѣ имѣются слѣдующіе постоянные отдѣлы.***

Въ каждомъ номерѣ:

VIII. Русская жизнь (внутреннее обозрѣніе).—IX За рубежомъ (заграничное обозрѣніе).

Ежемѣсячно:

X. На темы дня.—XI. Очерки и наброски изъ жизни провинціи.—XII. Научная хроника.—XIII. Журнальныя замѣтки.—XIV. Оборзъ историческихъ журналовъ XV.—Изъ иностранныхъ изданій.—XVI. Земская жизнь.—XVII. Народное образованіе.—XVIII. Письма изъ провинцій.—XIX. Заграничныя письма (изъ Франціи, Бельгіи, Англіи. Германіи и др.).—XX. Изъ жизни и литературы.

*Подписная цѣна на „Жизнь“:*

| Съ доставкой и пересылкой: | | За границу: | |
|---|---|---|---|
| На годъ | 7 р. | На годъ | 10 р. |
| „ полгода | 4 р. | „ полгода | 6 р. |
| „ 3 мѣсяца | 2 р. | „ 3 мѣсяца | 3 р. |

Отдѣльный № безъ пересылки 40 к., съ пересылкою 50 к.


Дозволено цензурою. Тифлисъ, 24-го Февраля, 1898 г. — სტამბა ქ. ი. ხელაძის, ლორის-მელიქოვის ქ., № 28 — რედაქტორ-გამომცემელი ვალ. გუნია